სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

22 / მაისი / 2025 წ.

KA080125447477025

№ **1568**

განკარგულება

შპს „გზების“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

ტენდერის ნომერი: NAT220004682;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „გზები“ (ს/ნ: 245425393);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 28 აპრილს წარმოდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2025 წლის 25 აპრილის № 322 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 3585), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გზების“ (ს/ნ: 245425393) მიერ NAT220004682 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 2 მაისის № 66 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის irakli_abashidze@gzebi.com მეშვეობით, 2025 წლის 1 მაისის № 1119 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2025 წლის 5 და 8 მაისს სააგენტოში 2025 წლის 5 და 8 მაისის №15 და №17 განმარტებები (რეგისტრაციის № 3788 და № 3918) NAT220004682 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 2 მაისის № 66 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა 2022 წლის 2 მაისის № 66 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებელი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებას და განმარტავს, რომ 2023 წლის დეკემბერში დაასრულა სამუშაოები და ყველა საშემსრულებლო დოკუმენტაცია, მათ შორის ლაბორატორიული დასკვნაც, ჩააბარა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ არაუგვიანეს 2024 წლის 6 თებერვლისა. 2024 წლის 1 მაისს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ წარმომადგენელმა, ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, მიიჩნია, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი შესაძლო შეუსაბამობაში იყო სამშენებლო ნორმებთან და რეკომენდირებული იყო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება. აღნიშნული ექსპერტიზის დროს აიღეს ასფალტბეტონის ნიმუშები, მაგრამ ნიმუშების აღებისას არ იყო მიწვეული მისი წარმომადგენელი, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ რეგლამენტს, ასევე, ნიმუშები აღებულ იქნა მიერთებებსა და შესასვლელებიდან, რაც არ შეესაბამება მოქმედ ГОСТ-სა და СНиП-ს და მსგავსი ადგილებიდან ნიმუშების აღება მხოლოდ ოპერაციული კონტროლისთვის არის დაშვებული. ექსპერტის დასკვნით, ასფალტბეტონის ნარევი არ აკმაყოფილებს ГОСТ-ის მოთხოვნებს — მაგალითისთვის, ბიტუმის შემცველობა ერთ-ერთ ნიმუშში (პკ 0+300) შეადგენდა 4.8%-ს (ანუ 48 კგ-ს ერთ ტონაში), რაც დაშვებულ ქვედა ზღვარზე დაბალია. მიმწოდებელი განმარტავს, რომ იგი არის 35-წლიანი გამოცდილების მქონე კომპანია და დარწმუნებულია, რომ ასფალტში გამოყენებული ბიტუმის რაოდენობა რეალურად შეადგენდა 56 კგ/ტონაზე მეტს, კონკრეტულად კი 68-70 კგ/ტონას, რაც დადასტურებულია მის მიერ 2025 წლის 17 მარტს ჩატარებული დამოუკიდებელი ლაბორატორიული კვლევით (ერთვის განმარტებას).

3.2. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ:

– ბიტუმის შემოტანა ირანიდან 2023 წლის ოქტომბერში შეფერხდა (ისრაელში ტერორისტული აქტების გამო);

– ბაზარზე გაჩნდა ერაყიდან შემოტანილი ბიტუმის პარტია, რომელიც უხარისხო აღმოჩნდა და არ შეესაბამებოდა საქართველოს კლიმატურ პირობებს;

– პრობლემის თავიდან ასაცილებლად, მან მიიღო ეკონომიკურად არახელსაყრელი, მაგრამ ხარისხობრივად გამართლებული გადაწყვეტილება – ბიტუმის შემცველობის გაზრდა, რათა არ დაზიანებულიყო საფარი ექსპლოატაციის პერიოდში. მიმწოდებელი მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იყო სწორი, რადგან მნიშვნელოვანი იყო შედეგი უშუალოდ გზის სავალ ნაწილზე და არა ქაღალდზე გაწერილ ნორმებთან შესაბამისობა.

3.3. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ ასფალტბეტონის საფარი გზის სავალ ნაწილზე მოცემულ დრომდე ვიზუალურად არის სრულად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. ორი ზამთარი (მათ შორის, დიდთოვლიანი) უკვე გადატანილია უპრობლემოდ. ასფალტზე არ აღინიშნება დაზიანებები, რაც ადასტურებს შესრულებული სამუშაოების ხარისხს. მხოლოდ გარკვეულ ეზოებში შესასვლელებზე (მაქსიმუმ 7 შესასვლელი – 500 $მ^2$, რაც მთლიანად დაგებული 10,808 $მ^2$-ის 4.5%-ს არ აღემატება) შეინიშნება სეგრეგაცია და მასალის ფენიდან ამოცვენა. ეს გამოწვეულია უხარისხო ბიტუმით, რაც იმ დროს მისთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. აღნიშნული შემთხვევები წარმოადგენს პირობითად უმნიშვნელო ხარვეზს, რომელიც არ ახდენს გავლენას მთლიან საფარზე.

3.4. მიმწოდებელი განმარტავს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ ექსპერტის დასკვნაზე დაყრდნობით, შეაფასა სამუშაოები არასათანადოდ შესრულებულად დამატებითი კვლევების გარეშე, რასაც იგი არ ეთანხმება და მიმართული აქვს ბათუმის საქალაქო სასამართლოსთვის სარჩელით შემსყიდველი ორგანიზაციის წინააღმდეგ და ითხოვს შესრულებული სამუშაოების ღირებულების სრულად ანაზღაურებას. ამდენად, მიმწოდებელი მიიჩნევს, რომ არ არსებობს მისი შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი და წარმოდგენილი აქვს სოფლის მაცხოვრებლების მხარდამჭერი განცხადება (დართულია განმარტებაზე).

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 2 მაისს, NAT220004682 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას – საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „გზებს“ (ს/ნ: 245425393) შორის დაიდო №66 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „სახ. გზა-უსტალიშვილები-წყავროკას გადასასვლელი“ კმ0+000-კმ2+660 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის, საავტომობილო გზის „საჩინო-ბერიძეები-ხალვაშები“ კმ0+000-კმ0+850 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 599 500,32 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 31 დეკემბერი.

4.2. ხელშეკრულების 14.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „სახ. გზა-უსტალიშვილები-წყავროკას გადასასვლელი“ კმ0+000-კმ2+660 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები უნდა შეესრულებინა 2022 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „საჩინო-ბერიძეები-ხალვაშები“ კმ0+000-კმ0+850 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები – 2022 წლის 01 ივლისის ჩათვლით.

4.3. მხარეთა 2022 წლის 8 ივლისისა და 2022 წლის 15 სექტემბრის შეთანხმებებით დაკორექტირდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

4.4. მხარეთა 2022 წლის 29 დეკემბრის შეთანხმებით განისაზღვრა, რომ მიმწოდებელს დაეკისრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო(ები) სამუშაოების საბოლოოდ დასრულებამდე (2023 წლის 1 ივნისამდე), ასევე, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2026 წლის 31 ივლისი.

4.5. მხარეთა 2023 წლის 7 ივნისის შეთანხმებით განისაზღვრა, რომ მიმწოდებელს დაეკისრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო(ები) სამუშაოების საბოლოოდ დასრულებამდე (2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით).

4.6. მხარეთა 2023 წლის 25 ივლისის შეთანხმებით განისაზღვრა, რომ მიმწოდებელს დაეკისრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო(ები) სამუშაოების საბოლოოდ დასრულებამდე (2023 წლის 25 ივლისის ჩათვლით), ასევე, დაკორექტირდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 579 586,42 ლარი.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 23 აგვისტოს №963 წერილში აღნიშნულია, რომ მიმწოდებელს არ ჰქონდა დასრულებული სამუშაოები, რის გამოც ერიცხებოდა პირგასამტეხლო. ამავე წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით დაესრულებინა სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2023 წლის 29 დეკემბრის № 49 ბრძანებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დაფიქსირდა 2023 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით.

4.9. საზედამხედველო ორგანიზაციის – სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2024 წლის 2 მაისის №5002689424 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას გადაეგზავნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2024 წლის 1 მაისის №002927024 ექსპერტის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ:

– ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „უსტალიშვილები-წყავროკას გადასასვლელის“ კმ0+000-კმ2+660 მონაკვეთზე დაგებული ასფალტბეტონის ფენილიდან ამოჭრილი ნიმუშების (კერნების) მონაცემების მიხედვით გზის სავალ ნაწილზე საფარის ზედა ფენის საშუალო სისქე 4,8 სმ-ია, ხოლო ქვედა ფენის საშუალო სისქე – 5,9 სმ-ს შეადგენს. აღნიშნული გზის ეზოში შესასვლელებში მოწყობილი ასფალტბეტონის ზედა ფენის საშუალო სისქე 6 სმ-ია, ხოლო მიერთებებზე მოწყობილი ასფალტბეტონის ზედა ფენის საშუალო სისქე 6,5 სმ-ს შეადგენს:

– ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „უსტალიშვილები-წყავროკას გადასასვლელის“ კმ0+000-კმ2+660 მონაკვეთზე აღებული ასფალტბეტონის ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული გზის სავალ ნაწილზე ეზოში შესასვლელზე და მიერთებაზე დაგებული ზედა ფენის ხარისხის პარამეტრები ვერ აკმაყოფილებს გოსტ 9128-84 – „საგზაო ასფალტბეტონის ნარევები. ტექნიკური პირობების“ და სნიპ 3.06.03-85 – „საავტომობილო გზების“ მოთხოვნებს;

– ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „უსტალიშვილები-წყავროკას გადასასვლელის“ კმ0+000-კმ2+660 მონაკვეთზე აღებული ასფალტბეტონის ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული გზის სავალ ნაწილზე დაგებული ქვედა ფენის ხარისხის პარამეტრები პკ 1+300-ზე, პკ 1+600-ზე, პკ 1+900-ზე, პკ 1+850-ზე და პკ 2+100-ზე აკმაყოფილებს, ხოლო პკ 1+200-ზე და პკ 1+420-ზე ვერ აკმაყოფილებს გოსტ 9128-84 – „საგზაო ასფალტბეტონის ნარევები. ტექნიკური პირობების“ და სნიპ 3.06.03-85 – „საავტომობილო გზების“ მოთხოვნებს;

– ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის „უსტალიშვილები-წყავროკას გადასასვლელის“ კმ0+000-კმ2+660 მონაკვეთის გზის სავალ ნაწილზე, ეზოში შესასვლელებსა და მიერთებებზე ასფალტბეტონის საფარის ზედაპირს ვიზუალურად აღენიშნებოდა სერეგაციის, მასალის ფენიდან ამოცვენის კვალი.

4.10. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 15 მაისის № 415 წერილით მიმწოდებელს გადაეგზავნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2024 წლის 2 მაისის № 5002689424 წერილი თანდართული 2024 წლის 1 მაისის № 002927024 ექსპერტის დასკვნით და უმოკლეს დაევალა აღნიშნულ დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრა.

4.11. მიმწოდებლის 2024 წლის 3 ივლისის № 41 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ ხარვეზების შესწავლა მოხდება ადგილზე, საველე პირობებში, რის შემდეგაც იგი მიიღებდა შესაბამის

ზომებს მათ აღმოსაფხვრელად.

4.12. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 10 ივლისის №633 წერილით მიმწოდებელს დაავალა მის 2024 წლის 15 მაისის № 415 წერილში მითითებული ხარვეზების აღმოხვრა განეხორციელებინა 2024 წლის 25 ივლისის ჩათვლით.

4.13. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 1 ნოემბრის №1162 წერილში აღნიშნულია, რომ მიმწოდებელს მოცემულ დრომდე არ უცნობებია პასუხი ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

4.14. შემსყიდველი ორგანიზაციის 2025 წლის 31 იანვრის № 62 წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი სამუშაოების საბოლოო ტექნიკური ანგარიშის თანახმად, საპროექტო მონაცემებს შეესაბამებოდა 1 347 957,40 ლარის შესრულებული სამუშაოები და ეთხოვა პოზიციის წარდგენა.

4.15. მიმწოდებელმა 2025 წლის 10 თებერვლის №3 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი დიდწილად არ ეთანხმებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის 2025 წლის 31 იანვრის № 62 წერილში მითითებულ მოსაზრებას და არაუგვიანეს 2025 წლის 3 მარტისა წარუდგენდა მოსაზრებას შესაბამისი არგუმენტებითა და მტკიცებულებებით.

4.16. მიმწოდებელმა 2025 წლის 4 მარტის № 9 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ დიდთოვლობამ შეუშალა ხელი ობიექტზე ლაბორატორიისთვის ასფალტბეტონის კერნების სათანადო სინჯების აღებაში და დამატებით ითხოვა სამი კვირა მოსაზრების წარსადგენად.

4.17. მიმწოდებელმა 2025 წლის 25 მარტის № 10 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი სამუშაოების საბოლოო ტექნიკურ ანგარიშში მოყვანილი გარემოებები არ ასახავდა რეალობას. მისი დაკვეთით დამოუკიდებელმა საექსპერტო დაწესებულებამ მოამზადა შესაბამისი დასკვნა და მის მიერ შესრულებული სამუშაოები გაცილებით უფრო მაღალი სტანდარტის იყო, ვიდრე მითითებული იყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტის დასკვნაში და კომპანიის სპეციალისტები სწავლობდნენ იმ გარემოებებს, თუ რა გახდა საფუძველი იმისა, რომ საექსპერტო დაწესებულებამ მსგავსი ტიპის დასკვნა გასცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა უახლოეს პერიოდში განმეორებით დაეკვეთა მესამე დამოუკიდებელი დაწესებულებისთვის საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზა.

4.18. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2025 წლის 2 აპრილის № 16 ბრძანებით, ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შეწყვიტა № 66 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო.

4.19. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2025 წლის 3 აპრილის № 253 წერილით მიმწოდებელს აცნობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ.

4.20. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 28 დეკემბრის შესაბამისობის (გადახდის) სერთიფიკატით ირკვევა, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს 1 029 877,87 ლარის სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 65%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გზებს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4

პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე და აღნიშნავს, რომ საქმის გარემოებებში, საზედამხედველო ორგანიზაციის – სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ 2024 წლის 1 მაისის № 002927024 ექსპერტის დასკვნაში მითითებული გარემოებების საპირისპიროდ, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების ფაქტი. საგულისხმოა ისიც, რომ მიმწოდებელი განმარტებაში თავადვე მიუთითებს მის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარვეზებზე (გარკვეულ ეზოებში შესასვლელებზე შეინიშნება სეგრეგაცია და მასალის ფენიდან ამოცვენა). ამდენად, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა. სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიმწოდებელს არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შპს „გზების“ შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლება.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 65%. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „გზების“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გზებს“ (ს/ნ: 245425393) 2025 წლის 23 მაისს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ლევან რაზმაძე